ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

ინფორმაცია საიას სადამკვირვებლო მისიის შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2019 წლის 19 მაისს საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებს **მთაწმინდის** მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, **მარნეულის, ზუგდიდის, ხულოს** მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნებს, ასევე **წყალტუბოს** და **ოზურგეთის** მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედურ არჩევნებს **50** დამკვირვებლის მეშვეობით დააკვირდება.

სტატიკური დამკვირვებლები განთავსდებიან საქართველოს მასშტაბით **22** საარჩევნო უბანში. საია არჩევნებს **6** საარჩევნო ოლქში **17** მობილური ჯგუფით და **7** ოლქის დამკვირვებელით დააკვირდება. საიას ყურადღებას გაამახვილებს როგორც საარჩევნო პროცედურების დაცვაზე (საარჩევნო უბნის გახსნის, ხმის მიცემის და შეჯამების პროცესი), აგრეთვე მონიტორინგს გაუწევს საუბნო საარჩევნო კომისიების მიმდინარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს. გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, ორგანიზაცია სტრატეგიული სამართალწარმოების მექანიზმსაც გამოიყენებს საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში.

არჩევნების დღეს საიაში იმუშავებს სპეციალური ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით მოქალაქეებს შეეძლებათ სამართლებრივი კონსულტაციების მიღება კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით.

საიაში ასევე იმუშავებს ცხელი ხაზი ჟურნალისტებისა და მედია ორგანიზაციებისათვის. ცხელი ხაზის ნომერზე დარეკვით ჟურნალისტებს და მედია ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია და იურიდიული კონსულტაცია საარჩევნო პროცედურების, კენჭისყრის დღის დარღვევებისა და მათზე რეაგირების გზების შესახებ.

ცხელი ხაზის ნომერია: 032 2 18 26 30

პრესკონფერენცია გაიმართება 19 მაისს: 14:00 საათზე და 20:00 საათზე. ხოლო 20 მაისს საია შეაფასებს არჩევნების დღეს 12:00 საათზე.

19 მაისის არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა Ḍ□□□ საზოგადოების ფონდის □ დაფინანსებით. განცხადებაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას □ და მისი შინაარსი

შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.

C:\Users\Lela Taliuri\AppData\Local\Microsoft\Windows\INetCache\Content.Outlook\4HGT\

Image not found or type unknown